საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4952/01
01/06/2020

4952-01-2-202006011347

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“

მის: ქ. თბილისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. N19

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 21 მაისის N7583 წერილი, რომელიც ეხება 110 კვ ძაბვის ეგხ „ჭალადიდის“ გაორჯაჭვიანების პროექტის სკოპინგის ანგარიშს.

თქვენ მიერ, სამინისტროში წარმოდგენილ სკოპინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ დაგეგმილი საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას და სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით წარმოდგენილია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართის საფუძველზე.

გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2009 წლის 27 აპრილს N44 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემულია N002012 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა „დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ფილიალის მაღალი ძაბვის (35 კვ და მეტი) საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების (110 კვ და მეტი ძაბვის) მიმდინარე საქმიანობაზე.

2010 წლის 5 ოქტომბერს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ, ქ. ფოთში 110 კვ-იანი ქვესადგურის („ფოთი 4“) და 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის („ფოთი 4“-„ფოთი 2“) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია N68 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 12 სექტემბრის N2-871 ბრძანებით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ 110 კვ ქვესადგურისა და 100 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ 2019 წლის 6 აგვისტოს, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად წარმოდგენილი იყო 110 კვ ძაბვის ეგხ „ჭალადიდის“ გაორჯაჭვიანების პროექტის სკრინინგის განცხადება. წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების საფუძველზე 2019 წლის 8 ნოემბერს მინისტრის N 2-1070 ბრძანებით სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ფილიალის მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურის მიმდინარე საქმიანობისა და ქ. ფოთის 110 კვ ქვესადგურისა და 100 კვ ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ელექტოგადამცემი ხაზი „ჭალადიდის“ გაორჯაჭვიანება) გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც აღნიშნული საქმიანობა დაექვემდებარა გზშ-ს. **შესაბამისად სკოპინგის განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება და არა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართი.**

ამასთან, 2019 წლის 6 აგვისტოს, აღნიშნულ საქმიანობაზე წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით ირკვეოდა, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ქ. ფოთის ელექტრომომარაგების საიმედოობის გაზრდის მიზნით, გეგმავდა 110 კვ ძაბვის ეგხ „ჭალადიდის“ N154-N169 მონაკვეთის გაორჯაჭვიანებას, არსებული 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის სადენის კვეთის გაზრდას და 18 საყრდენის განთავსებას. კერძოდ გასაორჯაჭვიანებელ მონაკვეთზე 17 არსებული საყრდენისა და საძირკველის დემონტაჟსა და ახალი საძირკველების და საყრდენების მონტაჟს, აქედან N1/154 ანძას ეცვლებოდა მხოლოდ საყრდენი (საძირკველი უცვლელი რჩებოდა). ძველი საყრდენის დემონტაჟი და მისი ახალი საყრდენით შეცვლა აგრეთვე იგეგმებოდა N153 ანძისთვის, რომელიც რჩებოდა ერთჯაჭვიანი. საპროექტო გასაორჯაჭვიანებელი ეგხ-ს სიგრძე შეადგენდა 2,114 მეტრს-ს.

მიმდინარე წლის 23 მაისს წარმოდგენილი სკოპინგის დოკუმენტაციით დგინდება, რომ დაგეგმილია 110 კვ ძაბვის ეგხ „ჭალადიდის“ N151-N165 მონაკვეთის გაორჯაჭვიანება, N150 საყრდენის დემონტაჟი და მისი გაუქმება. N149ა საყრდენზე გათვალისწინებულია ორჯაჭვიანი საანკერო-კუთხური ტიპის საყრდენის მონტაჟი, რომლის ერთ ჯაჭვზე შეიკიდება 35 კვ ეგხ „ყორათის“, ხოლო მეორე ჯაჭვზე - 110 კვ ეგხ ,,ჭალადიდის“ 3 ფაზის სადენები. ამასთან, აღნიშნულია, რომ სარეკონსტრუქციო ეგხ-ის ტრასის სიგრძე, რომელზეც გათვალისწინებულია 17 ცალი საპროექტო საყრდენის განთავსება, შეადგენს 2,294 მეტრს, ხოლო გასაორჯაჭვიანებელი ეგხ-ის სიგრძე N151 საყრდენიდან N165 საყრდენამდე შეადგენს 1,994 მეტრს. წარმოდგენილი სკოპინგის დოკუმენტაციის და 2019 წლის 6 აგვისტოს სკრინინგის განცხადების შედარების საფუძველზე დგინდება, რომ შეუსაბამობაა როგორც საყრდენების ნუმერაციაში, ისე საპროექტო ეგხ-ს სიგრძეშიც, რაც საჭიროებს დაზუსტებას.

სკოპინგის განცხადებას თან ერთვის საპროექტო ტერიტორიის shape ფაილები, რომელზეც არ არის დატანილი სარეკონსტრუქციო, გასაორჯაჭვიანებელი და გასაუქმებელი საყრდენების (N149ა-N165) წერტილები და კოორდინატები. ამასთან, აღნიშნული საყრდენების კოორდინატები არ ფიქსირდება წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშშიც. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციაში ასახული უნდა იყოს პროექტით დაგეგმილი, გასაორჯაჭვიანებელი, სარეკონსტრუქციო და გასაუქმებელი საყრდენების კოორდინატები, რომელიც აგრეთვე დატანილი იქნება ეგხ-ს განთავსების ტერიტორიის სიტუაციურ სქემაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო დაგეგმილ საქმიანობაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით განახლებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენას.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე